საქართველოს მთავრობის

დადგენილება №382

2017 წლის 7 აგვისტო

ქ. თბილისი

„სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 ოქტომბრის №258 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 ოქტომბრის №258 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 08/10/2013, 010220020.10.003.017425) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის დებულების“ მე-2 მუხლის:

1. მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. სამმხრივ კომისიაში საქართველოს მთავრობას სამმხრივი კომისიის თავმჯდომარესთან ერთად წარმოადგენენ:

ა) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი;

ბ) საქართველოს იუსტიციის მინისტრი;

გ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი;

დ) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი;

ე) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი.“.

2. მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

3. მე-10 და მე-11 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. საქართველოს მთავრობის მხრიდან სამმხრივი კომისიის წევრის/მინისტრის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, შესაბამისი სამინისტროს ახალი მინისტრი ავტომატურად ხდება სამმხრივი კომისიის წევრი.

11. სამმხრივი კომისიის თავმჯდომარის – საქართველოს პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილების შეწყვეტის ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სხვა შემთხვევაში, რომელიც მოითხოვს საქართველოს მთავრობის შემადგენლობის ხელახლა დამტკიცებას, ახლად დანიშნული პრემიერ-მინისტრი ავტომატურად ხდება სამმხრივი კომისიის თავმჯდომარე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**